პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 197 (9864) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ იწყება კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი

# ორმოცდამეთექვსმეტე სტარტი

**ხვალ,** 14 ოქტომბერს იწყება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატი. შეჯიბრებაში ტრადიციულად თორმეტი კოლექტივი მონაწილეობს. ესენია: ცსკა, „ჟალგირისი“ (კაუნასი), „სტროიტელი“ (კიევი), „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მოსკოვი), ვეფ (რიგა), რტი (მინსკი), „შახტიორი“ (დონეცკი), „სტატიბა“ (ვილნიუსი), „კალევი“ (ტალინი), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) და ასკ (ალმა-ათა).

56-ე ჩემპიონატი ახლებური სისტემით ტარდება, რომელიც უმაღლესი ლიგის გუნდების ყველა უფროსმა მწვრთნელმა მოიწონა. კაცმა რომ თქვას, ამ სისტემას ახალს ვერც ვუწოდებთ, ვინაიდან ასეთი რეგლამენტით საკავშირო ჩემპიონატები ადრეც ჩატარებულა. წლევანდელი ფორმულის მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ გუნდები შინ მეტ შეხვედრებს ჩაატარებენ. კლუბების თვითდაფინანსების პირობებში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მიმოსვლის სისტემას სხვა არსებითი ღირსებებიც აქვს და იგი, პირველ ყოვლისა, ხელს უწყობს კლუბების უკეთ მომზადებას როგორც ჩემპიონატის მატჩებისთვის, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებისთვის. ყოველ მეტოქესთან ორ-ორი მატჩი შინ და ორიც სტუმრად, შესამჩნევად გაზრდის კალენდარული მატჩების რაოდენობასაც. ფინალური შეხვედრების გათვალისწინებით, გუნდებს საკავშირო ჩემპიონატში 50-50 მატჩის ჩატარება მოუწევთ.

საბჭოთა კალათბურთმა წლევანდელ სეზონში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ამას რომ ვამბობთ, გასაგებია, სეულის ოლიმპიადაზე გამარჯვებას ვგულისხმობთ. ეს გამარჯვება დიდი ფიზიკური და ნერვიული დაძაბულობის ფასად მოვიდა და დასამალი რაა, ნაკრები გუნდის წევრებს საკავშირო ჩემპიონატის პირველი შეხვედრების ჩატარება გაუჭირდებათ.

მაგრამ დაძაბული სეზონი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა ჩვენს საუკეთესო გუნდებს ორ ფრონტზე მოუხდებათ ბრძოლა. როგორც ცნობილია, ევროპის საკლუბო ტურნირებში, რომელიც სტარტს ოქტომბერშივე აიღებს, ქვეყნის ექვსი საუკეთესო გუნდი იასპარეზებს. ესენია ცსკა-ს, „ჟალგირისის“, „სტროიტელისა“ და თბილისის „დინამოს“ ვაჟთა კოლექტივები, აგრეთვე, ცსკა-სა და ნოვოსიბირსკის „დინამოს“ ქალთა გუნდები.

ასე რომ, 56-ე საკავშირო ჩემპიონატი ერთობ საინტერესო და მძაფრი იქნება.



ზურაბ ხორავას ფოტო.

იხ. მე-4 გვ.

მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

# მერვე პარტია

**ნ. იოსელიანი — მ. ჩიბურდანიძე**

**სიცილიური დაცვა**

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 მc6 6. მdb5 კb4 7. a3 კ:c3+ 8. მ:c3 d5 9. ed ed 10. კd3 d4 11. მe2 0—0 12. 0—0 ლd5 13. b4 ეd8 14. კb2 კf5 15. მf4 ლd6 16. კ:f5 ლ:f4 17. კh3 მe4 18. g3 ლh6 19. კg2 მc3 20. ლd3 ლf6 21. ლf3 ლ:f3 22. კ:f3 ეac8 23. ეfe1 მფf8 24. მფg2 b6 25. კc1 მd5 26. კd2 f6 27. ეad1 მe5 28. კe4 მc3 29. კ:c3 ე:c3 30. a4 ეc4 31. ეb1 gб 32. a5 ეd7 33. ab ab 34. კd3 ეc3 35. კe4 მფg7 36. h4 ეc4 37. ეe2. ყაიმი.

**მერვე** პარტიით დასრულდა მატჩის პირველი ნახევარი. როგორც იცით, ამ შეხვედრამდე ქულით მსოფლიო ჩემპიონი იყო დაწინაურებული და უნდა გვევარაუდა, რომ პრეტენდენტი ყველაფერს იღონებდა ამ პარტიის მოსაგებად და მატჩის პირველი ნახევრის ფრედ დასამთავრებლად.

ამ პარტიამ დიდი ინტერესი გამოიწვია გულშემატკივრებში, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ამას ისიც დაერთო, რომ ექსკურსანტებმა სამდღიანი დასვენება კახეთში გაატარეს (აქ ხომ უამრავი დიდებული ისტორიული ძეგლია) და, რაღა თქმა უნდა, მათგან მატჩზე დასწრების მსურველიც ბევრი იყო. მაგრამ დამთავრდა ეს დასვენების დღეები, ექსკურსანტები შინ დაბრუნდნენ, თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში კი — დარბაზში, ფოიეში, პრესცენტრში, მაინც უამრავი ხალხი ირევა. დიახ, თელაველებში დიდ ინტერესს იწვევს ორი უძლიერესი ქართველი მოჭადრაკე ქალის უშეღავათო პაექრობა. თელაველები მატჩის მსვლელობისას საჭადრაკო ზეიმის მოწყობას აპირებენ და კიდევ, პედაგოგიურ ინსტიტუტში ჭადრაკის კლუბს ხსნიან, თუმცა, ამაზე უმჯობესია შემდგომში ვისაუბროთ.

ახლა კი ისევ მერვე პარტიას დავუბრუნდეთ.

შავებით მოთამაშე მაია ჩიბურდანიძემ, ამ მატჩში პირველად თქვა უარი ესპანურ პარტიაზე და სიცილიურ დაცვას მიმართა.

მე-12 სვლამდე პარტია ცნობილი სისტემით წარიმართა. შავებმა თეთრებს ორი კუს უპირატესობა დაუთმეს, სანაცვლოდ კი ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა ცენტრში მაინც დარჩათ იზოლირებული პაიკი. ნანა იოსელიანმა მეტოქეს ლაზიერების გაცვლა შესთავაზა. მაია ჩიბურდანიძემ მიიღო ეს წინადადება და პარტია მრავალფიგურიან ენდშპილში გადავიდა. თეთრები ცდილობდნენ მეტოქის d4 პაიკის მოგებას, მაგრამ შავები მხედრების მანევრით არ აძლევდნენ ამის საშუალებას.

ვფიქრობთ, არაზუსტი იყო პრეტენდენტის 27-ე სვლა — ეad1 (ალბათ ჯობდა 27. კe4), რის შემდეგაც უფრო გააქტიურდა მსოფლიო ჩემპიონის ფიგურები. ჩიბურდანიძის ერთი ეტლი თეთრების ლაზიერის ფრთაზეც შეიჭრა, მაგრამ იოსელიანმა ზუსტი დაცვით შეძლო მუქარების უვნებელყოფა.

სრულიად თანაბარ პოზიციაში — 37-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 4,5:3,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

მეცხრე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს. თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს.

**დავით ჟელიძე,**
**ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.**
თელავი.

# „ჩეხოსლოვაკია — ტურიზმისა და მეგობრობის ქვეყანა“

**ასეთია** გამოფენის დევიზი, რომელსაც სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტი, უცხოეთის ტურიზმის საქართველოს მთავარი სამმართველო და ჩეხოსლოვაკიის მოგზაურობის ცნობილი ბიურო „ჩედოკი“ ერთობლივად აწყობენ თბილისში. ტურიზმი, ცნობილია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს ხალხების დაახლოება-დამეგობრებაში, ამ გამოფენის მიზანი კი ისიცაა, რომ ფართო საზოგადოებრიობას გააცნოს ახალი მიღწევები და სამომავლო პერსპექტივები, რაც თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის შემდგომ განვითარებასთან არის დაკავშირებული.

გამოფენა გაიხსნება დღეს კინოთეატრ „რუსთაველში“ 17 საათსა და 30 წუთზე. ერთი საათის შემდეგ კი ჟურნალისტებს მიიწვევენ სასტუმრო „ივერიის“ კონფერენციის დარბაზში, სადაც გაიმართება გამოფენის გახსნისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია.

# მონაწილეობა — დამსახურების მიხედვით

**ახალგაზრდა** სამბისტთა თავისებური „ფესტივალი“ ჩატარდა ქალაქ ასტრახანში. იქ სპორტსაზოგადოებათა ნაკრებების წევრთა გარდა მიწვეული იყო ყველა პერსპექტიული მოჭიდავე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს უკანასკნელი პერიოდის მნიშვნელოვან შეჯიბრებებში. ამასთან, ტურნირი, რომელიც ორ ასაკობრივ ჯგუფში (1968-1970 და 1971-1972 წ.წ.) მიმდინარეობდა, საგანგებოდ „გაამკაცრეს“: მხოლოდ ოთხქულიანი ილეთი და წმინდა გამარჯვება ითვლებოდა.

ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში მიღწეული წარმატების გამო, ასტრახანში ჩვენი რესპუბლიკის ბევრი მოჭიდავე ჩავიდა და მათ შედეგიც კარგი აჩვენეს.

17 წლის ფოთელი მურთაზ თურქია უმცროსთა შორის უნდა გამოსულიყო, მაგრამ ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების ჩემპიონისთვის უფრო ღირსეულ მეტოქეებად უფროსები ჩათვალეს და არც შემცდარან: თურქიამ დაამარცხა მასზე 2-3 წლით უფროსი სამბისტები და პირველი ადგილი დაიკავა 57 კგ წონით კატეგორიაში.

იგივე წარმატებას მიაღწია საგარეჯოელმა ნუკრი გაგნიაშვილმა (68 კგ), ოღონდ იგი თანატოლებს ეჭიდავებოდა. ამავე ასაკში — უმცროსთა შორის უძლიერესი იყო ზესტაფონელი გიორგი გაჩეჩილაძე (82 კგ).

შეჯიბრების პრიზიორები გახდნენ რუსთაველი როინ ზედგენიძე (52 კგ) და სოხუმელი ერვანდ მარტიროსიანი, რომლებმაც მეორე ადგილები დაიკავეს, აგრეთვე ზესტაფონელი კობა გურეშიძე (100 კგ), ქარელელი ჯონდო დაბრუნდაშვილი (მძიმე წონა) და რუსთაველი ვეფხია აჟალიანი (90 კგ). ყველა მათგანმა მესამე ადგილი მოიპოვა.

# მომავალ შეხვედრამდე, გელა!

**ძნელია** ოლიმპიურ ჩემპიონზე წერა. უფრო ძნელია ეს მაშინ, თუ იგი შენი მეგობარია და, მით უმეტეს, ბავშვობისა...

გელა კეტაშვილს პირველად მეოთხე კლასში შევხვდი, ერთ წელიწადს ვსწავლობდით ერთ კლასში, ვატარებდით ლიტერატურულ საღამოებს, ვცელქობდით, „მატალოზეც“ გავიპარებოდით ხოლმე. ჩვეულებრივი ბავშვი იყო, სიკეთითა და მეგობრების სიყვარულით სავსე. ჭართისა და მაკულატურის შეგროვებასაც არ თაკილობდა, თუმცა ფეხბურთზე უკვე დადიოდა და ჩვენოდენი თავისუფალი დრო არ რჩებოდა. მერე ჩვენი გზები გაიყარა. წლების შემდეგ დინამოელის მაისურა რომ ჩაიცვა, მაშინ შევხვდით ერთმანეთს, მიცნო და ის ლექსი მითხრა ზეპირად, ზურაბ ქაფიანიძესთან შეხვედრაზე რომ წავიკითხე. მესამედ მაშინ ვნახე, როცა ჩვენი გაზეთის მკითხველებთან ერთად ოლიმპიადისკენ გზა დავულოცე; და აი, ახლა, მეოთხე შეხვედრაზე, თბილისის აეროპორტში სახეგაბრწყინებული, თვალებში ცრემლჩამდგარი გელა რომ დავინახე, ასე მეგონა, ჩემი ბავშვობა შემომეფეთა გამარჯვებული.



შეტევაზე გელა კეტაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



● **რა იგრძენი პირველად, როდესაც ოლიმპიური ჩემპიონი გახდი, თანაც პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში?**

— პირველად — სიამაყე. მეგონა გავიზარდე, გოლიათად მიმაჩნდა თავი, ქართული მთების ტოლად. ეს — პირველ წამებში, შემდეგ პასუხისმგებლობის გრძნობამ იმატა.

● **გამარჯვების შემდეგ ეკრანზე თითქოს მარტო ჩანდი, ვინ გინდოდა იმ წუთში გვერდით რომ გყოლოდა?**

— საოცარი სურვილი მქონდა რომელიმე ქართველი ფეხბურთელი ყოფილიყო ჩემს გვერდით... ნუ ვიქნებოდი მხოლოდ მე პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში, ოღონდ ვინმე „ჩვენიანი“ მყოლოდა გვერდით.

● **ფეხბურთი ვაჟკაცთა სპორტია. შენ ცოტა სენტიმენტალური ხარ. როგორ გამოხატე გამარჯვება მარტომ, საკუთარ თავთან?**

— ჩვენი სეულისწინა ინტერვიუ მქონდა თან წაღებული, ბოლო ნაწილი წავიკითხე: რას ჩამოუტანს მამიკო პატარა გიორგის სეულიდან საჩუქრადო? ბავშვის სურათი ამოვიღე, მედალიც იქვე დავდე და სიხარულის ცრემლი მომადგა. არ გაგიკვირდეს, ძალიან ემოციური ვარ.

— თან დავდავიწყებული მამაა, — საუბარში ჩაერია გელას მეუღლე ნინო სეხნიაშვილი. — აერო-

იხ. მე.2 გვ

# მომავალ შეხვედრამდე, გელა!

(დასასრული)

პორტშიც, თუ ნახეთ, პირველად შვილი მოიკითხა. სახლში მოსვლისთანავე მედალი ამოიღო, გიორგის დაჰკიდა და უთხრა: ეს ჩემგან და შენც მოგეპოვებინოსო.

ოლიმპიური მედლით მკერდდამშვენებული გიორგი ოთახში დარბის და გაიძახის: მამიტომ ცეულიდან ოქროს მენდალი ცამომიტანაო.

**● და მაინც, როგორ დაიწყო ყველაფერი, როგორ შეგხვდნენ სეულში?**

— სეულში ასეთ სტუმართმოყვარეობას ნამდვილად არ ველოდით, არაჩვეულებრივად დაგვხვდნენ, ყოველგვარი პირობები შეგვიქმნეს დასვენებისა და ვარჯიშისთვის. დაზინავებულები ვიყავით პატარა, ლამაზ ქალაქ ტეგუში. ჩასვლისთანავე ოლიმპიადის ფავორიტებად მიგვიჩნიეს.

**● თვითონ როდის დარწმუნდით, რომ უკვე ჩემპიონები გახდებოდით?**

— გახსოვს, ალბათ, აქედანვე ჩემპიონობის იმედი გვქონდა, მაგრამ იქ ისე აეწყო საქმე, ჯერ — იტალია, შემდეგ — ბრაზილია. ვაითუ, ფორტუნას ემტყუნა?! ბოლო წუთამდე ვერც იმედს ვკარგავდით და... რაღაც გაორებულები ვიყავით.

**● მაინც, რომელ თამაშში გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?**

— იტალიელებთან. ჯერ ერთი, მეტოქე იყო ძლიერი, თან ჩვენც არ უნდა დავბნეულიყავით, წინ ან ფინალი იყო, ან არაფერი.

**● კურიოზი თუ შეგემთხვათ რამე?**

— პირადად მე შემემთხვა. ბრაზილიასთან თამაშის დროს, პირველი დამატებითი ტაიმი რომ დამთავრდა, გახარებული გავიქეცი მოედნის ცენტრისკენ, მაშინ შემახსენეს ბიჭებმა, რომ მეორე თხუთმეტი წუთი სათამაშო გვქონდა...

**● მეორე გოლის „თანაავტორი" როცა გახდი?..**

— არ ვიცი, მსგავსი რამ იშვიათად განმიცდია, მეორე გოლი ხომ ფაქტიურად გამარჯვება, სამშობლოში პირნათლად დაბრუნება და ჩემი „დინამოს" პრესტიჟიც იყო...

**● რას შემატებს „დინამოს" ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი?**

— პირველ ყოვლისა, სიმხნევეს, გამოცდილებას. ალბათ, ბიჭებიც, ასე ვთქვათ, უფრო „ზურგმომაგრებულები" იქნებიან. არა, გიორგის გეფიცები, თავს არ ვიქებ. უბრალოდ, „დინამოს" ხომ ახლა ისე უჭირს, გადავეჩვიეთ გულშემატკივართა დღესასწაულებს.

**● როგორი იქნება პირველი დღე გუნდში დაბრუნებისა?**

— ჩვეულებრივი, განურჩეველი სხვა დღეებისაგან. ვივარჯიშებ მთელი დატვირთვით, ახლა „დინამოს" სჭირდები.

**● ხვალიდანვე, გელა?**

— ხვალიდანვე, დრო არ იცდის, გადადებული საქმე ეშმაკისააო. როდისმე ხომ უნდა დაიბრუნოს „დინამომ" ის პრესტიჟი. ვერ წარმოიდგენ... იცი, რას ვნატრობ მომავლისთვის? — თუნდაც გაისისთვის?.. ისე ეთამაშოს „დინამოს", ხალხს სტადიონზე მოუხაროდეს, „წაგება-მოგებაზე" არ ვამბობ. ეთამაშოს აი ისე, როგორც ადრე თამაშობდა, ხელოვნებას რომ უახლოვდებოდა.

**● პირველ ნაკრებზე რას იტყვი?**

— ვთვლი, რომ გზა სანახევროდ ხსნილი მაქვს, მხოლოდ ისევ და ისევ ვარჯიშია აუცილებელი.

**● და თუ ყველაფერი კარგად აეწყო, რომელ ოლიმპიელთან ისურვებდი შეხვედრას 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ვის მიმართ განეწყვე სიმპათიით?**

— ბრაზილიის ნაკრების მეთვრამეტე ნომრის და სილვას მიმართ.

**● სეულში ფულადი ჯილდო როგორი იყო?**

— პირველი ადგილისთვის 2800 დოლარი იყო დაწესებული. თითოეულმა ფეხბურთელმა 6430 დოლარი მიიღო, ესე იგი 3630 დოლარი განაწილდა თამაშებზე და მოგვცეს პრემიების სახით.

**● მოკლედ, ოლიმპიადამ ახე თუ ისე, შენი ოჯახური ბიუჯეტიც გაამაგრა?**

— ალბათ.

**● 27 სექტემბერს დაბადების დღე გქონდა, სად და როგორ აღნიშნეთ?**

— მინდორზე, იტალიასთან თამაშით. ამ მოგებაზე დიდი საჩუქარი არასდროს მიმილია დაბადების დღეებზე.

**● როგორ განიცდიდი თანამემამულე ოლიმპიელების გამარჯვებას თამაშებში?**

— ფინალში ბრაზილიასთან თამაშის დროს შესვენებაზე გობეჯიშვილის გამარჯვება გამოაცხადეს. ყველაზე მეტად სწორედ დათოს გამარჯვება დამამახსოვრდა, მას ხომ ჩვენი ჩემპიონობაც მოჰყვა.

**● რაც წინა ინტერვიუში ინატრე, ყველაფერი აგისრულდა, ახლაც ისურვე რამე, ან გაზეთის მკითხველებს უსურვე.**

დიდხანს იჯდა ჩუმად. მერე ცისფერი თვალები ოთახის იმ კუთხეს მიაპყრო, სადაც გამოფენილია მისი „ნადავლი" მესამე კლასიდან დღემდე. მერე უბის წიგნაკში ეს სიტყვები ჩამიწერა და კვლავ ჩაფიქრდა. აღარ ჩავძიებივარ, ვხვდებოდი, რაზეც ფიქრობდა.



მე კი სახლისკენ მიმავალი ვნატრობდი — შემდგომში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მიმელოცოს გელასთვის. ასე გაჩნდა ამ წერილის სათაურიც.

**ინგა ჩახვაშვილი.**

პროექტი

# საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ ფიზიკური მომზადების შესამოწმებელი ნორმატივები 1989-91 სასწავლო წლებისთვის

**როგორც** ცნობილია, წელს, პირველად ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ მოეწყო აბიტურიენტთა შემოწმება ფიზიკურ მომზადებაში. ამ სიახლემ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით წამოყენებულია წინადადება, რომ ეს წამოწყება კვლავაც გაგრძელდეს, რაც ხელს შეუწყობს ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდას, ფიზკულტურითა და სპორტით მოსწავლე-ახალგაზრდობის მეტ დაინტერესებას.

დღეს გთავაზობთ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სპორტსახკომის მიერ შემუშავებულ ახალ ნორმატივებს, რომლებიც გათვალისწინებულია 1989-91 წლებისათვის.

ნორმატივებს ვაქვეყნებთ საყოველთაო განხილვისათვის. გთხოვთ 1 ნოემბრამდე მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები, რაც გათვალისწინებული იქნება ნორმატივების სახელმძღვანელო ვარიანტის დადგენისას.

წინასწარ გიხდით მადლობას ყურადღებისთვის.

## ვაჟები

| № | ნორმატივები | შეფასება | 1989 წ. ასაკი 16-18 წ. | 1989 წ. 19-27 წ. | 1989 წ. 28-35 წ. | შეფასება | 1990 წ. ასაკი 16-18 წ. | 1990 წ. 19-27 წ. | 1990 წ. 28-35 წ. | შეფასება | 1991 წ. ასაკი 16-18 წ. | 1991 წ. 19-27 წ. | 1991 წ. 28-35 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | რბენა 100 მ. | "3" | 15,0 | 14,6 | - | "3" | 14,8 | 14,3 | - | "3" | 14,8 | 14,3 | = |
| | | "4" | 14,6 | 14,1 | - | "4" | 14,3 | 13,9 | - | "4" | 14,1 | 13,7 | - |
| | | "5" | 14,2 | 13,8 | - | "5" | 14,0 | 13,6 | - | "5" | 13,7 | 13,3 | - |
| 2. | რბენა 1000-3000 მ. | "3" | 3.55.0 | 3.45.0 | 4.05.0 | "3" | 16.00.0 | 16.00.0 | 16.25.0 | "3" | 15.00.0 | 15.00.0 | 15.25.0 |
| | | "4" | 3.40.0 | 3.30.0 | 3.50.0 | "4" | 14.30.0 | 14.30.0 | 14.55.0 | "4" | 14.00.0 | 14.00.0 | 14.25.0 |
| | | "5" | 3.30.0 | 3.20.0 | 3.40.0 | "5" | 13.30.0 | 13.30.0 | 13.55.0 | "5" | 13.00.0 | 13.00.0 | 13.25.0 |
| 3. | ძელზე მიზიდვა ან | "3" | 7-ჯერ | 8-ჯერ | 4-ჯერ | "3" | 8-ჯერ | 9-ჯერ. | 4-ჯერ. | "3" | 9-ჯერ | 10-ჯერ | 5-ჯერ |
| | | "4" | 9-ერ | 10-ჯერ | 6-ჯერ | "4" | 10-ჯერ | 11-ჯერ | 6-ჯერ | "4" | 11-ჯერ | 12-ჯერ | 7-ჯერ |
| | | "5" | 11-ჯერ | 12-ჯერ | 8-ჯერ | "5" | 12-ჯერ | 13-ჯერ | 8-ჯერ | "5" | 13-ჯერ | 14-ჯერ | 9-ჯერ |
| | ხელების მოხრა-გაშლა წოლით მდგომარეობიდან | "3" | 15-ჯერ | 17-ჯერ | 10-ჯერ | "3" | 20-ჯერ | 22-ჯერ | 12-ჯერ | "3" | 22-ჯერ | 25-ჯერ | 15-ჯერ |
| | | "4" | 20-ჯერ | 22-ჯერ | 15-ჯერ | "4" | 25-ჯერ | 27-ჯერ | 17-ჯერ | "4" | 27-ჯერ | 30-ჯერ | 20-ჯერ |
| | | "5" | 25-ჯერ | 27-ჯერ | 20-ჯერ | "5" | 30-ჯერ | 32-ჯერ | 22-ჯერ | "5" | 32-ჯერ | 35-ჯერ | 25-ჯერ |
| 4. | წამოჯდომა ზურგზე წოლით მდგომარეობიდან | "3" | 40-ჯერ | 45-ჯერ | 35-ჯერ | "3" | 45-ჯერ | 50-ჯერ | 40-ჯერ | "3" | 45-ჯერ | 50-ჯერ | 40-ჯერ |
| | | "4" | 50-ჯერ | 55-ჯერ | 45-ჯერ | "4" | 55-ჯერ | 60-ჯერ | 50-ჯერ | "4" | 55-ჯერ | 60-ჯერ | 50-ჯერ |
| | | "5" | 60-ჯერ | 65-ჯერ | 55-ჯერ | "5" | 65-ჯერ | 70-ჯერ | 60-ჯერ | "5" | 65-ჯერ | 70-ჯერ | 60-ჯერ |
| 5. | ცურვა | "3" | 25 მ. | 25 მ. | 25 მ. | "3" | 25 მ. | 25 მ. | 25 მ. | "3" | 25 მ. | 25 მ. | 25 მ. |
| | | "4" | 50 მ. | 50 მ. | 50 მ. | "4" | 50 მ. | 50 მ. | 50 მ. | "4" | 50 მ. | 50 მ. | 50 მ. |
| | | "5" | 0,55;0 | 0,52 | 1,00.0 | "5" | 0,53,0 | 0,50.0 | 0,57,0 | "5" | 0,50 | 0,48 | 0,55 |

## ქალები

| № | ნორმატივები | შეფასება | 1989 წ. ასაკი 16-18 წ. | 1989 წ. 19-27 წ. | 1989 წ. 28-35 წ. | შეფასება | 1990 წ. ასაკი 16-18 წ. | 1990 წ. 19-27 წ. | 1990 წ. 28-35 წ. | შეფასება | 1991 წ. ასაკი 16-18 წ. | 1991 წ. 19-27 წ. | 1991 წ. 28-35 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | რბენა 100 მ. | "3" | 18,0 | 18,2 | - | "3" | 17,5 | 18,0 | - | "3" | 17,2 | 17,9 | - |
| | | "4" | 17,0 | 16,9 | - | "4" | 16,8 | 16,7 | - | "4" | 16,6 | 16,8 | - |
| | | "5" | 16,1 | 16,0 | - | "5" | 16,0 | 15,9 | - | "5" | 15,9 | 15,8 | - |
| 2. | რბენა 500-2000 მ. | "3" | 2.25.0 | 2.20.0 | 2.30.0 | "3" | 12.15.0 | 12.35.0 | 13.15.0 | "3" | 11.45.0 | 12.15.0 | 12.45.0 |
| | | "4" | 2.10.0 | 2.05.0 | 2.20.0 | "4" | 11.30.0 | 11.50.0 | 12.45.0 | "4" | 11.00.0 | 11.30.0 | 12.25.0 |
| | | "5" | 2.00.0 | 2.00.0 | 2.10.0 | "5" | 10.30.0 | 10.45.0 | 12.15.0 | "5" | 10.15.0 | 10.30.0 | 12.00.0 |
| 3. | დაბალ ძელზე მიზიდვა ან | "3" | 8-ჯერ | 10-ჯერ | 6-ჯერ | "3" | 10-ჯერ | 12-ჯერ | 8-ჯერ | "3" | 10-ჯერ | 12-ჯერ | 8-ჯერ |
| | | "4" | 10-ჯერ | 12-ჯერ | 8-ჯერ | "4" | 12-ჯერ | 14-ჯერ | 10-ჯერ | "4" | 13-ჯერ | 15-ჯერ | 10-ჯერ |
| | | "5" | 12-ჯერ | 14-ჯერ | 10-ჯერ | "5" | 14-ჯერ | 16-ჯერ | 12-ჯერ | "5" | 16-ჯერ | 18-ჯერ | 12-ჯერ |
| | ხელების მოხრა-გაშლა ზურგზე წოლით მდგომარეობიდან | "3" | 7-ჯერ | 9-ჯერ | 6-ჯერ | "3" | 9-ჯერ | 10-ჯერ | 7-ჯერ | "3" | 10-ჯერ | 12-ჯერ | 8-ჯერ |
| | | "4" | 9-ჯერ | 11-ჯერ | 8-ჯერ | "4" | 11-ჯერ | 12-ჯერ | 9-ჯერ | "4" | 12-ჯერ | 14-ჯერ | 10-ჯერ |
| | | "5" | 11-ჯერ | 13-ჯერ | 10-ჯერ | "5" | 13-ჯერ | 14-ჯერ | 11-ჯერ | "5" | 14-ჯერ | 16-ჯერ | 12-ჯერ |
| 4. | წამოჯდომა ზურგზე წოლით მდგომარეობიდან | "3" | 18-ჯერ | 20-ჯერ | 15-ჯერ | "3" | 20-ჯერ | 23-ჯერ | 16-ჯერ | "3" | 25-ჯერ | 28-ჯერ | 17-ჯერ |
| | | "4" | 23-ჯერ | 25-ჯერ | 20-ჯერ | "4" | 25-ჯერ | 28-ჯერ | 21-ჯერ | "4" | 30-ჯერ | 32-ჯერ | 22-ჯერ |
| | | "5" | 28-ჯერ | 30-ჯერ | 25-ჯერ | "5" | 30-ჯერ | 33-ჯერ | 26-ჯერ | "5" | 35-ჯერ | 38-ჯერ | 28-ჯერ |
| 5. | ცურვა | "3" | 25 მ. | 25 მ. | 25 მ. | "3" | 25 მ. | 25 მ. | 25 მ. | "3" | 25 მ. | 25 მ. | 25 მ. |
| | | "4" | 50 მ. | 50 მ. | 50 მ. | "4" | 50 მ. | 50 მ. | 50 მ. | "4" | 50 მ. | 50 მ. | 50 მ. |
| | | "5" | 0,75 | 0,80 | 0,90 | "5" | 0,75 | 0,80 | 0,90 | "5" | 0,70 | 0,74 | 0,85 |

**შენიშვნა: 1. 1989 წ. აბიტურიენტებს ნორმატივების ჩაბარებისათვის მიეცემათ „ჩათვლა", რისთვისაც აუცილებელია მოცემული ხუთი ნორმატივიდან ამორჩეულ სამ ნორმატივში დააგროვოს მინიმუმ 9 ქულა, ხოლო 1990-91 წ. წ. ამორჩეულ ოთხ ნორმატივში დააგროვოს მინიმუმ 12 ქულა.**
**2. ქულათა დაგროვილ ჯამში არ შედის ნიშანი „2"**
**3. ერთ-ერთი რბენის ნორმატივის შესრულება ყველა მომდევნო წლისათვის სავალდებულოა.**

## კასპაროვის პირველი დამარცხება

**რეიკიავიკში** გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის" გათამაშების მესამე ეტაპი. VII ტურში ყურადღების ცენტრში იყო ანდრეი სოკოლოვისა და გარი კასპაროვის შეხვედრა. მთელი პარტიის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონს უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ 37-ე სვლაზე შეცდომა დაუშვა და მე-40 სვლაზე პირველი დამარცხება განიცადა. გათამაშების ლიდერი მიხეილ ტალი დაუზავდა იოჰან ჰიარტარსონს. ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ელვესტი-პეტურსონი — 1:0, ნიკოლიჩი-საქსი — 0,5:0,5, ანდერსონი-ბელიავსკი — 0,5:0,5, სპილმენი-სპასკი — 0,5:0,5, რიბლი-ნანი — 0,5:0,5. გადაიდო არტურ იუსუპოვისა და იან ტიმანის, აგრეთვე ლაიოშ პორტიშისა და ვიქტორ კორჩნოის პარტიები.

ბორის სპასკისა და პრედრაგ ნიკოლიჩის მეოთხე ტურის გადადებული პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: მიხეილ ტალი — 5 ქულა, ალექსანდრე ბელიავსკი, ანდრეი სოკოლოვი — 4,5-4,5, არტურ იუსუპოვი — 4 (1), იან ელვესტი, გარი კასპაროვი, დიულა საქსი (უნგრეთი) — 4-4.

## ფინალი — დეკემბერში

**ახლახან** ბათუმში ჩატარდა ხელბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მესამე წრე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავისა და თელავის კოლექტივები.

აჭარის ნაკრებმა (მწვრთნელები — შოთა წიტაიშვილი და მერაბ ჭანტურია) დაუმარცხებლად განვლო ტურნირი, დაამარცხა სამხრეთ ოსეთის (29:25), ქუთაისის (22:19), რუსთავისა (23:13) და თელავის (21:16) გუნდები და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გავიდნენ თელაველები, მესამეზე — ქუთაისელები.

სამი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: 1. თელავი — 17 ქულა, 2. ქუთაისი — 16, 3. აჭარა — 12.

ეს გუნდები, თბილისის საქალაქო ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებთან ერთად, დეკემბერში იასპარეზებენ ფინალურ ტურნირში, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს.

**გიორგი მურვანიძე.**

## კულიკოვა დაეწია ლიდერს

**ალმა-ათაში** გრძელდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატი.

ერევნელმა მოჭადრაკემ ლიუდმილა კულიკოვამ მეხუთე ტურში დაამარცხა რა სვეტლანა პრუდნიკოვა (ნოვოსიბირსკი), დაეწია ლიდერს ...ლია დიომინას (ნოვოსიბირსკი), ...ელიც ამ ტურში დაუზავდა ელ...ა ხოროვეცს (მინსკი). ახლა, ხუთი ტურის შემდეგ, ორივეს 4,5-4,5 ...ა აქვთ. მათ კვალში მიჰყვებიან ირინა ჩელუშკინა (ლვოვი) — 3,5 და ქეთევან კახიანი — 3, რომელმაც მეხუთე ტურში დაამარცხა თბილისელი საერთაშორისო დიდოსტატი ნინო გურიელი. ნანა ალექსანდრია ყაიმზე შეუთანხმდა ი. ჩელუშკინას და პირველი ნახევარი ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში. ნინო მელაშვილისა და ფლორა ესკოვას (ალმა-ათა) პარტია გადადებულია.

## მოკლედ

### მექალალდეთა ზუსტი თერთმეტმეტრიანები

**ზუგდიდში** ერთი თვე მიმდინარეობდა ქალაქის პირველობა ფეხბურთში წარმოება-დაწესებულ...ა გუნდებს შორის.

...ინალური შეხვედრა „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა. ერთმანეთს გაერთიანება „საქქალალდმრეწვისა" და № 12 სამშენებლო ტრესტის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები შეხვდნენ.

ორთაბრძოლა მექალალდეთა გამარჯვებით დამთავრდა. ძირითადი დრო — 3:3, დამატებითი, პენალტებით — 8:7.

მესამე საპრიზო ადგილზე მანქანათმშენებელი ქარხნის გუნდი გავიდა.

**კ. კაკაჩია.**
ზუგდიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**სსრ კავშირის** 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, ფინიშამდე სულ ხუთი ტური დარჩა. ნოემბრის მეორე ნახევარში გამოვლინდება ჩემპიონიც, საპრიზო ადგილების მფლობელებიც და აუტსაიდერებიც, რომელთაგან ორს სავაისოდ პირველ ლიგაში მოუწევს ჩამოქვეითება.

თუ წმინდა საფეხბურთო ენით ვილაპარაკებთ, ის ორი გუნდი, რომლებმაც წელს უნდა დატოვონ უმაღლესი ლიგა, პრაქტიკულად გამოვლენილია. სრულიად უიმედოა ალმა-ათის „კაირატის“ მდგომარეობა, რომელსაც მხსნელ მეთოთხმეტე ადგილს 8 ქულა აცილებს. პრაქტიკულად არ არსებობს ვარიანტი, რომ „კაირატმა“ ყველა დარჩენილი 5 მატჩი მოიგოს და მისმა კონკურენტებმა კი ამასობაში ვერაფერი შემატონ თავიანთ აქტივს. „კაირატი“ განწირულია. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია ბაქოს „ნეფთჩი“, რომელსაც ამჟამად 15 ქულა აქვს და დარჩენილ 5 ტურში შინ უნდა ითამაშოს ვილნიუსის „ჟალგირისთან“, მოსკოვის „ტორპედოსთან“, ხარკოვის „მეტალისტთან“ და კიევის „დინამოსთან“ (ერთ მატჩს ბაქოელები გამართავენ ალმა-ათაში). „ნეფთჩის“ პერსპექტივებზეც ძნელია დადებითი დასკვნის გამოტანა.

მაგრამ ის გუნდებიც, რომლებიც 25-ე ტურში შეხვდნენ ერთმანეთს მინსკში — ადგილობრივი და თბილისელი დინამოელები — სულ ახლახანს ფრიად სათუო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარში. მაგრამ ორივე გუნდმა შეძლო დიდი დეფიციტის ლიკვიდირება და სამშვიდობოს დაიგულა თავი, მწვავე პრობლემის პერიოდმა განვლო და ახლა ისინი უკეთესი მომავლის პერსპექტივების წინაშე იმყოფებიან, კერძოდ, ორივეს შეუძლია ცხრილის შუაგულში დაიმკვიდროს ადგილი. ამიტომაც იყო, რომ მათი განვლილი მატჩი შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა და ფრედ დამთავრებულმა შედეგმა ორივე მეტოქეს თითო ქულა მოუტანა: თბილისელებს იმიტომ, რომ ლიმიტამდე მათ ჯერ კიდევ აქვთ ამგვარი ქულების აღების საშუალება, ხოლო მინსკელებმა ფრეთა ლიმიტი ამოწურეს, მაგრამ ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში გუნდი ნაკრების უმოთამაშეებოდ გამოვიდა, ამიტომაც, ჩემპიონატის დებულების თანახმად, ასეთ შემთხვევაში ფრედ დამთავრებული შეხვედრა მას ლიმიტში არ ეთვლება.

**„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი) 0:0.**

**მინსკი. „დინამოს“ სტადიონი. 11 ოქტომბერი.**

**მინსკი:** საცუნკევიჩი, როდნენოკი, მეტლიცკი, გოთსოვიჩ შიროკი (ანტანევიჩი), ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, მარხელი, ალეინიკოვი, გურინოვიჩი, კონდრატიევი (სოკოლი).

**თბილისი:** გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, ცვეიბა, ცააავა (ფანცულაია), გურული, გოგიჩაიშვილი.

**მსაჯი ო. ჩინენოვი (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს ფანცულაია.**

**დუბლიორები — 8:0.**

თამაშის პირველი ნახევარი მინსკელთა დიდი ტერიტორიული უპირატესობით აღინიშნა. მასპინძლები მინდვრის შუაგულს საფუძვლიანად ფლობდნენ, მაგრამ მეტოქის კართან მიახლოებისას კარგავდნენ თავიანთ უპირატესობას და ვერ სძლევდნენ თბილისელთა დაცვის წინააღმდეგობას. და, მაინც, მინსკელთა ამ უპირატესობის ფონზე, ყურადღებას იპყრობდა თბილისელთა დაცვითი ხაზების უნარიანი მოქმედება და მოულოდნელი, სწრაფი კონტრშეტევები, რომლებსაც შეიძლება გოლიც მოჰყოლოდა.

კვლავ კარგად ითამაშა გაბელიამ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო. ერთ-ერთ მომენტში კი კონდრატიევის სახიფათო დარტყმა ძელს მოხვდა.

მნიშვნელოვნად შეიცვალა ბრძოლის სურათი შესვენების შემდეგ. თბილისელებმა საგრძნობლად გააძლიერეს თამაში, უფრო აქტიურად ამოქმედდნენ ნახევარმცველები, რომლებიც მინდვრის შუაგულში უკვე არაფერს უთმობდნენ მეტოქეებს. მცველებს საშუალება მიეცათ თავიანთი კარიდან მოშორებით გადაენაცვლათ, სულ უფრო ხშირად ერთვოდა იერიშში კეტაშვილი.

ორივე მხარემ ბოლომდე სრული ძალით და შესაძლებლობით იბრძოლა და დაძაბული ბრძოლაც ფრედ დამთავრდა — 0:0.

ეს ერთი ქულა სტუმრად ჩატარებულ მატჩში თბილისის დინამოელთა კარგი შენაძენია. ვფიქრობთ, ჩვენს გუნდს სამერმისოდ შესაძლებლობა ექნება უფრო დაიმედებულად, ზედმეტი ნერვული სტრესების გარეშე იბრძოლოს ჩემპიონატში მაღალი ადგილის დასაკავებლად. მორიგი მატჩი კი თბილისის „დინამოს“ შინა აქვს 22 ოქტომბერს ლენინგრადის „ზენიტთან“.

### გათამაშების ცხრილი

[illegible]

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 25 | 13 | 10 | 2 | 37-19 | 36 |
| 2. „დინამო“ (კიევი) | 25 | 13 | 9 | 3 | 36-15 | 35 |
| 3. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 25 | 12 | 9 | 4 | 35-22 | 33 |
| 4. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 24 | 13 | 6 | 5 | 31-20 | 32 |
| 5. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 25 | 11 | 7 | 7 | 31-25 | 29 |
| 6. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 25 | 9 | 7 | 9 | 31-31 | 25 |
| 7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 23 | 8 | 9 | 6 | 28-23 | 25 |
| 8. „შახტიორი“ (დონეცკი) | 25 | 8 | 8 | 9 | 25-24 | 24 |
| 9. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 25 | 9 | 5 | 11 | 21-29 | 23 |
| 10. „არარატი“ (ერევანი) | 24 | 8 | 7 | 9 | 17-22 | 23 |
| 11. „დინამო“ (თბილისი) | 25 | 8 | 5 | 12 | 25-31 | 21 |
| 12. „დინამო“ (მინსკი) | 25 | 5 | 11 | 9 | 22-26 | 21 |
| 13. „დინამო“ (მოსკოვი) | 23 | 7 | 6 | 10 | 21-26 | 20 |
| 14. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 25 | 6 | 8 | 11 | 24-32 | 20 |
| 15. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 25 | 5 | 5 | 15 | 23-38 | 15 |
| 16. „კაირატი“ (ალმა-ათა) | 25 | 4 | 4 | 17 | 18-42 | 12 |

## საფეხბურთო კავშირის ემბლემა

**იმასთან** დაკავშირებით, რომ იქმნება სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირი, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა, აგრეთვე, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადეს კონკურსი კავშირის ემბლემისა და ნიშნის შესაქმნელად.

მსურველებმა თავიანთი წინადადებებით 20 ოქტომბრამდე უნდა მიმართონ შემდეგი მისამართით: 119871, მოსკოვი, ლუჟნეცკის სანაპირო № 8, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია. კონვერტზე უნდა გაკეთდეს აღნიშვნა „კონკურსისთვის“.

## ევროპის საკლუბო ტურნირებზე

**12 ოქტომბერს** გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი ეტაპის საპასუხო მატჩები.

დიდ ინტერესს იწვევდა ჩემპიონთა თასის შეხვედრა ბრემენის „ვერდერსა“ (გფრ) და ბერლინის „დინამოს“ (გდრ) შორის. ბერლინელებს პირველი თამაში შინ ანგარიშით 3:0 ჰქონდათ მოგებული, მაგრამ საბოლოოდ ეს მათ არ ეყოთ. „ვერდერმა“ აიღო რევანში (5:0) და მერვედფინალში გავიდა. გათამაშების ამ ეტაპზე „ვერდერი“ შოტლანდიის „სელტიკს“ შეხვდება.

უნგრეთის „ტატაბანიამ“ უეფა-ს თასზე შინ ანგარიშით 2:1 დაამარცხა გფრ-ის „შტუტგარტი“, მაგრამ ორი მატჩის ჯამში (2:0 და 1:2) მეთექვსმეტედფინალში „შტუტგარტი“ გავიდა, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ზაგრების „დინამოს“ შეხვდება.

ფეხბურთი

# საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 31-ე და 32-ე ტურის მატჩები.

**„მალაროელი“ (ჭიათურა) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ბრეგვაძე, სევასტოპულო-2 („მალაროელი“), ხუცურაული („არმაზი“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 4:3. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).** გოლები: სიუკაევი, ხვედელიძე, შარაბიძე, ურიადმყოფელი („მეტალურგი“), სვანაძე, კერესელიძე, სუხიაშვილი („შადრევანი“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ბენდელიანი, ციმაკურიძე („სამეგრელო“), შამუგია, ღურწკაია („ამირანი“).

მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს ბ. ახვლედიანი, ხოლო ბურთის განზრახ გადაგდებისთვის — რ. გუჩუა (ორივე — „ამირანი“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:1. მსაჯი ვ. ხუჩოიანი (თბილისი).** გოლები: მექვაბიშვილი, მინდიაშვილი („დურუჯი“), ჩიმაკაძე („კოლხეთი“).

გააფრთხილეს ს. მალიხინი და გ. ქომეთიანი („დურუჯი“), ორივე — მსაჯთან კამათისთვის.

**„დინამო“ (გაგრა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლები: კვარაცხელია-2 („დინამო“), თედეშვილი („ბახტრიონი“).

**„ივერია“ (ხაშური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:0. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ხარაზიშვილი, ღამბაშიძე-2 („ივერია“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ჯ. შონია („ეგრისი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:2. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).**

**„სულორი“ (ვანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 5:4. მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი).** გოლები: პაიკიძე, ნ. ძაგნიძე, ჯ. ვერულაშვილი-2, ა. დვალიშვილი („სულორი“), დ. ძაგანია, მამუკაშვილი, გაზაშვილი, შონია (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა).** გოლები: მალანია, შეროზია („დინამო“), ჯაგოვი („მადნეული“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლი: სილაგაძე („საპოვნელა“).

განზრახ უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ნ. ტუკვაძე („საპოვნელა“). მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს მისი თანაგუნდელი ა. მგელაძე.

**„მალაროელი“ (ჭიათურა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა).** გოლები: ხუბულური-2 („მალაროელი“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1. მსაჯი ა. მანუკიანი (თბილისი).** გოლები: ფრუიძე, კიკნაძე, შარაბიძე („მეტალურგი“), იორამაშვილი („არმაზი“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:2. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლები: ქვილითაია, ციმაკურიძე, ი. სიჭინავა-2 („სამეგრელო“), ჭეჭელაშვილი, წკრიალაშვილი („ქართლი“).

მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისთვის გააფრთხილეს ბ. კაბელაშვილი, ხოლო უხეში თამაშისთვის — გ. ბესთაევი (ორივე — „ქართლი“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლი: ლობჟანიძე („დურუჯი“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1. მსაჯი ბ. დარჩია (თბილისი).** გოლები: ქობალია-2 („ამირანი“), ბაბილაშვილი („ბახტრიონი“).

**„ივერია“ (ხაშური) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: ოსაძე („ივერია“), ქომეთიანი („კოლხეთი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „დინამო“ (გაგრა) 1:0. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი).** გოლი: ჯიოევი („სპარტაკი“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:1. მსაჯი ო. გაგუა (სოხუმი).** გოლები: ფანჩულიძე, ჩინჩალაძე („საპოვნელა“), ჩიქობავა („ეგრისი“).

**„სულორი“ (ვანი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 5:3. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: პაიკიძე-2, ჯ. ვერულაშვილი-2, შარაშენიძე („სულორი“), მურვანიძე-2, ქაჯაია („სალხინო“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:2. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლები: ო. თუთბერიძე, მალანია-2 („დინამო“), მოისწრაფიშვილი-2 („სქური“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს რ. ანთიძე და კ. მატუა (ორივე — „სქური“).

**„მადნეული“ (ბოლნისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 5:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: ბად. უგულავა-4, ბეს. უგულავა („მადნეული“), ნასყიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

### მსაჯთა რეესტრი

#### 15-16 ოქტომბერი

„დურუჯი“ (ყვარელი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). **რ. ვერულაშვილი, დ. მენთეშაშვილი, ლ. ჩიტაია** (თბილისი). „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ივერია“ (ხაშური). **ზ. ჯინჭარაძე** (მახარაძე), **გ. ჯიქია** (ქობულეთი), **დ. გვაზავა** (აბაშა). „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). **რ. ვერულაშვილი, ა. მანუკიანი, თ. სოფრომაძე** (თბილისი). „მეშახტე“ (ტყიბული) — „საპოვნელა“ (თერჯოლა). **ი. კანდელაკი** (თბილისი), **ო. კბილაშვილი, მ. მაჩიტიძე** (ქუთაისი). „არმაზი“ (მცხეთა) — „სულორი“ (ვანი). **მ. მალაღურაძე, დ. მენთეშაშვილი, ზ. ლაცაბიძე** (თბილისი). „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „დინამო“ (ზუგდიდი). **თ. ლორთქიფანიძე, ვ. კლიშენკო, ტ. ნიშნიანიძე** (თბილისი). „შადრევანი“ (წყალტუბო) — „მადნეული“ (ბოლნისი). **ვ. ეჯიბია** (თბილისი), **ვ. ადეიშვილი, ზ. მაღრაძე** (ზესტაფონი). „ამირანი“ (ოჩამჩირე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). **ვ. ხუჩოიანი** (თბილისი), **გ. კალანდია** (ზუგდიდი), **თ. კვირკველია** (ჩხოროწყუ). „კოლხეთი“ (ხობი) — „სქური“ (წალენჯიხა). **დ. მენთეშაშვილი, ზ. ლაცაბიძე** (თბილისი), **ა. ჟუჟიაშვილი** (მცხეთა). „დინამო“ (გაგრა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). **კ. დავითიანი, ნ. მუხაშავრია, ნ. შავიშვილი** (ბათუმი). „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მალაროელი“ (ჭიათურა). **მ. გარნოვსკი, გ. კვანტალიანი, ა. ჯულაყიძე** (სამტრედია). „დურუჯი“ (ყვარელი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **გ. ხილაგავა, თ. ლაცაბიძე** (თბილისი), **დ. რეხვიაშვილი** (გარდაბანი).

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სულორი“ | 32 | 22 | 6 | 4 | 60-27 | 50 |
| „კოლხეთი“ | 32 | 21 | 7 | 4 | 76-37 | 49 |
| „დინამო“ ზ. | 32 | 19 | 10 | 3 | 76-36 | 48 |
| „ამირანი“ | 32 | 16 | 6 | 10 | 54-38 | 38 |
| „შადრევ.“ | 32 | 14 | 7 | 11 | 48-43 | 35 |
| „დურუჯი“ | 31 | 12 | 10 | 9 | 36-38 | 34 |
| „მადნ.“ | 32 | 12 | 9 | 11 | 60-53 | 33 |
| „სამეგრ.“ | 32 | 15 | 2 | 15 | 57-59 | 32 |
| „დინამო“ გ. | 32 | 14 | 4 | 15 | 40-45 | 32 |
| „სპარტაკი“ | 32 | 12 | 8 | 12 | 53-46 | 32 |
| „მეტალ.“ | 32 | 13 | 5 | 14 | 57-52 | 31 |
| „მალარ.“ | 32 | 13 | 4 | 15 | 51-53 | 30 |
| „საპოვნ.“ | 32 | 11 | 7 | 14 | 43-45 | 29 |
| „ივერია“ | 32 | 10 | 8 | 14 | 36-47 | 28 |
| „სალხინო“ | 32 | 11 | 5 | 16 | 45-58 | 27 |
| „მეშახტე“ | 32 | 9 | 9 | 14 | 27-46 | 27 |
| „ბახტრ.“ | 31 | 10 | 6 | 15 | 36-47 | 26 |
| „არმაზი“ | 32 | 8 | 10 | 14 | 40-51 | 26 |
| „სქური“ | 32 | 10 | 5 | 17 | 44-54 | 25 |
| „ქართლი“ | 32 | 9 | 6 | 17 | 35-55 | 24 |
| „ეგრისი“ | 32 | 8 | 6 | 18 | 35-63 | 22 |
| ფიზ. ინს. | 30 | 6 | 10 | 14 | 49-65 | 22 |

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არაგვი“ | 25 | 20 | 3 | 2 | 57-22 | 43 |
| „კახეთი“ | 24 | 16 | 6 | 2 | 49-30 | 38 |
| „თორი“ | 25 | 16 | 4 | 5 | 38-24 | 36 |
| „სსი-მუხ.“ | 24 | 14 | 7 | 3 | 52-24 | 35 |
| „მეტალის.“ | 25 | 15 | 3 | 7 | 59-27 | 33 |
| „ვარძია“ | 25 | 10 | 9 | 7 | 33-36 | 29 |
| „იმედი“ | 25 | 10 | 5 | 10 | 40-44 | 25 |
| „ჰერეთი“ | 26 | 9 | 5 | 12 | 46-45 | 23 |
| „სპი-დინ. 3“ | 21 | 9 | 4 | 8 | 43-25 | 22 |
| „მეფრინვ.“ | 25 | 9 | 4 | 12 | 34-36 | 22 |
| „სამგორი“ | 25 | 10 | 1 | 14 | 47-50 | 21 |
| „ალგეთი“ | 23 | 8 | 4 | 11 | 26-33 | 20 |
| „აბული“ | 25 | 6 | 7 | 12 | 31-51 | 19 |
| „მესხეთი“ | 25 | 7 | 4 | 14 | 34-54 | 18 |
| „თრიალ.“ | 26 | 5 | 7 | 14 | 28-54 | 17 |
| „ფოსტამტი“ | 26 | 5 | 5 | 16 | 41-59 | 15 |
| ახალგ. საფ. სკოლა თბ. | 24 | 5 | 4 | 15 | 36-56 | 14 |
| „უნივერს.“ | 24 | 5 | 4 | 15 | 34-58 | 14 |

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მზიური“ | 24 | 19 | 3 | 2 | 63-22 | 41 |
| „ნარინჯი“ | 24 | 19 | 2 | 3 | 66-22 | 40 |
| „საირმე“ | 24 | 16 | 5 | 3 | 52-22 | 37 |
| „იმერეთი“ | 23 | 11 | 4 | 8 | 35-28 | 26 |
| „დვაბზუ“ | 24 | 12 | 1 | 11 | 46-47 | 25 |
| „დარჩელი“ | 24 | 9 | 7 | 8 | 37-40 | 25 |
| „ჩიბათი“ | 24 | 10 | 2 | 12 | 44-44 | 22 |
| „კოლხ.-2“ | 24 | 8 | 4 | 12 | 44-44 | 20 |
| „ბახმარო“ | 24 | 8 | 4 | 12 | 33-44 | 20 |
| „ოდიში“ | 24 | 8 | 3 | 13 | 42-49 | 19 |
| „მამისონი“ | 24 | 7 | 5 | 12 | 34-45 | 19 |
| პოლ. ინ. ქ. | 23 | 7 | 4 | 12 | 30-34 | 18 |
| „ქიმიკოსი“ | 24 | 7 | 4 | 13 | 33-51 | 18 |
| „ჩიხურა“ | 24 | 7 | 4 | 13 | 37-57 | 18 |
| „ჩხერიმ.“ | 24 | 6 | 6 | 12 | 28-52 | 18 |

### III ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი“ | 19 | 13 | 4 | 2 | 53-20 | 30 |
| „მიონი-35“ | 21 | 13 | 2 | 6 | 42-30 | 28 |
| „გარისი“ | 20 | 12 | 3 | 5 | 41-23 | 27 |
| „ვარდის.“ | 20 | 11 | 3 | 6 | 30-18 | 25 |
| „კოლმ“ | 21 | 10 | 5 | 6 | 37-30 | 25 |
| „თუშეთი“ | 19 | 10 | 4 | 5 | 32-23 | 24 |
| „ნაფარ.“ | 20 | 8 | 6 | 6 | 30-21 | 22 |
| „მარაბდა“ | 20 | 10 | 1 | 9 | 25-29 | 21 |
| „შირაქი“ | 21 | 6 | 7 | 8 | 21-29 | 19 |
| „განთიადი“ | 20 | 7 | 3 | 10 | 21-31 | 17 |
| „გარეჯი“ | 20 | 6 | 5 | 9 | 27-33 | 17 |
| „სინათლე“ | 21 | 5 | 3 | 13 | 27-39 | 13 |
| „ქიზიყი“ | 20 | 4 | 2 | 14 | 19-63 | 10 |
| „სპი“-თბ. | 26 | 3 | 4 | 19 | 23-39 | 10 |

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებ.“ | 22 | 16 | 1 | 5 | 55-30 | 33 |
| „ორპირი“ | 21 | 12 | 5 | 4 | 53-28 | 29 |
| „ცენტრმ.“ | 21 | 11 | 6 | 4 | 55-34 | 28 |
| „ზარზმა“ | 21 | 12 | 3 | 6 | 48-24 | 27 |
| „იბერია“ | 22 | 11 | 5 | 6 | 49-28 | 27 |
| „ფარვანა“ | 22 | 10 | 6 | 6 | 35-26 | 26 |
| „ჰოგნარი“ | 22 | 10 | 4 | 8 | 42-39 | 24 |
| „ფეიქარი“ | 21 | 9 | 5 | 7 | 32-30 | 23 |
| „ავტომობ.“ | 21 | 8 | 4 | 9 | 38-39 | 20 |
| „მეავეჯე“ | 22 | 8 | 3 | 11 | 34-41 | 19 |
| „ლიახვი“ | 21 | 6 | 6 | 9 | 23-30 | 18 |
| „ხვამლი“ | 21 | 5 | 6 | 10 | 26-36 | 16 |
| „მეშაქრე“ | 21 | 4 | 3 | 14 | 22-58 | 11 |
| „მეფრინ.“ | 21 | 4 | 3 | 14 | 33-69 | 11 |
| „ბაგიათი“ | 21 | 1 | 6 | 14 | 15-48 | 8 |

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სუბტრ.“ | 21 | 13 | 4 | 4 | 54-26 | 30 |
| „მელექ.“ | 21 | 14 | 1 | 6 | 50-31 | 29 |
| „სპარტაკი“ | 21 | 11 | 4 | 6 | 23-21 | 26 |
| „კახაბ.“ | 21 | 9 | 7 | 5 | 25-21 | 25 |
| „უნივერს.“ | 20 | 10 | 4 | 6 | 38-30 | 24 |
| „ბეთლემი“ | 20 | 8 | 6 | 6 | 25-23 | 22 |
| „განთიადი“ | 21 | 8 | 6 | 7 | 28-38 | 22 |
| „მეშახტე“ | 20 | 7 | 7 | 6 | 26-31 | 21 |
| „ახალსოფ.“ | 23 | 8 | 4 | 11 | 34-43 | 20 |
| „კოლხ.“ | 20 | 7 | 6 | 7 | 40-29 | 20 |
| „ალიონი“ | 20 | 6 | 4 | 10 | 37-44 | 16 |
| „ზანა“ | 20 | 2 | 4 | 14 | 25-43 | 8 |
| „ავტომობ.“ | 24 | 2 | 3 | 19 | 19-44 | 7 |

## ხვალ იწყება კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი

# გათამაშების დებულებიდან

**56-ე საკავშირო** ჩემპიონატი ორეტაპიანი ტურნირია. პირველი ეტაპი — 12 გუნდი ერთმანეთში 4-4 შეხვედრას ჩაატარებს მიმოსვლით (2-2 შეხვედრა შინ და ამდენივე — სტუმრად).

მეორე ეტაპი — გუნდები, რომლებიც პირველი ეტაპის შემდეგ მეხუთე-მეექვსე და მეშვიდე-მერვე ადგილებს დაიკავებენ, ჩაატარებენ ერთმანეთში მატჩების სერიას ორ გამარჯვებამდე, საბოლოო ადგილების გამოსავლენად. პირველი შეხვედრა ჩატარდება იმ გუნდების მოედნებზე, რომლებიც მეექვსე და მერვე ადგილებზე გავლენ, მეორე და, თუ საჭირო გახდა, მესამე მატჩი — მეხუთე და მეშვიდე ადგილებზე გასული გუნდების მოედნებზე.

გუნდები, რომლებიც პირველი ეტაპის შემდეგ პირველ და მეორე ადგილებს დაიკავებენ, გაითამაშებენ ჩემპიონის ოქროს მედლებს სერიებში (სამ მოგებამდე). ანალოგიური პრინციპით ითამაშებენ მესამე და მეოთხე ადგილებზე გასული გუნდებიც. პირველი ორი მატჩი გაიმართება იმ გუნდების მოედნებზე, რომლებიც მეორე და მეოთხე ადგილებს დაიკავებენ. მესამე, მეოთხე და, თუ საჭირო გახდა, მეხუთე შეხვედრა გაიმართება პირველ და მესამე ადგილებზე გასული გუნდების მოედნებზე.

კოლექტივები, რომლებიც ჩემპიონატის პირველ ეტაპზე IX-XII ადგილებზე აღმოჩნდებიან, მონაწილეობას მიიღებენ (I ლიგის გამარჯვებულებთან ერთად) გადასასვლელ ტურნირში.



# ჩემპიონატის კალენდარი

**გთავაზობთ** საკავშირო ჩემპიონატის პირველი-მეორე წრის კალენდარს. მესამე და მეოთხე წრის განრიგი მოგვიანებით გამოქვეყნდება, როცა ცნობილი გახდება ევროპის საკლუბო ტურნირების მომდევნო ეტაპების კალენდარი. ეს საჭიროა იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ უხერხული და გაუთვალისწინებელი დამთხვევები.

**13-14 ოქტომბერი.** „ჟალგირისი" (კაუნასი) — რტი (მინსკი).

**14-15 ოქტომბერი.** „დინამო" (თბილისი) — ასკ (ალმა-ათა), „კალევი" (ტალინი) — „დინამო" (მოსკოვი).

**15-16 ოქტომბერი.** ცსკა — „სპარტაკი" (ლენინგრადი), „სტროიტელი" (კიევი) — „შახტიორი" (დონეცკი), „სტატიბა" (ვილნიუსი) — ვეფ (რიგა).

**18-19 ოქტომბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — ასკ.

**19-20 ოქტომბერი.** რტი — ვეფი, „სტატიბა" — „შახტიორი", „კალევი" — „სპარტაკი".

**22-23 ოქტომბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი".

**24-25 ოქტომბერი.** „დინამო" (თბილისი) — ცსკა, რტი — „სტატიბა", ასკ — „სტროიტელი".

**26-27 ოქტომბერი.** ვეფ — „დინამო" (მოსკოვი), „კალევი" — „ჟალგირისი".

**28-29 ოქტომბერი.** „დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი".

**29-30 ოქტომბერი.** ასკ — ცსკა.

**30-31 ოქტომბერი.** „სპარტაკი" — რტი.

**31 ოქტომბერი — 1 ნოემბერი.** „შახტიორი" — „კალევი".

**3-4 ნოემბერი.** „ჟალგირისი" — „სტატიბა", „სპარტაკი" — ვეფი, ასკ — რტი.

**4-5 ნოემბერი.** „სტროიტელი" — „კალევი", „შახტიორი"—„დინამო" (თბილისი).

**7-8 ნოემბერი.** ცსკა — ვეფი, „სპარტაკი" — „სტატიბა".

**2-3 დეკემბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი).

**3-4 დეკემბერი.** „ჟალგირისი" — ასკ, „სტროიტელი" — „სპარტაკი", „კალევი" — ცსკა.

**6-7 დეკემბერი.** რტი — „შახტიორი".

**7-8 დეკემბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი", „სტატიბა" — ასკ.

**8-9 დეკემბერი.** ვეფ — „ჟალგირისი".

**9-10 დეკემბერი.** რტი—„სტროიტელი".

**10-11 დეკემბერი.** ცსკა — „შახტიორი".

**11-12 დეკემბერი.** „დინამო" (თბილისი) — „კალევი", ვეფ — ასკ.

**13-14 დეკემბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — „სტატიბა".

**16-17 დეკემბერი.** ვეფ — „კალევი".

**17-18 დეკემბერი.** „სტროიტელი" — „ჟალგირისი", „დინამო" (თბილისი) — „სტატიბა", „შახტიორი" — „დინამო" (მოსკოვი), ასკ — „სპარტაკი".

**19-20 დეკემბერი.** ცსკა — რტი.

**21-22 დეკემბერი.** „სტროიტელი" — „დინამო" (მოსკოვი), „დინამო" (თბილისი), — „სპარტაკი", „შახტიორი" — „ჟალგირისი".

**1989 წ. 2-3 იანვარი.** ცსკა — „სტროიტელი".

**3-4 იანვარი.** „ჟალგირისი" — „დინამო" (თბილისი), „შახტიორი" — ვეფი, „კალევი" — „სტატიბა".

**7-8 იანვარი.** „ჟალგირისი" — ცსკა, „სტროიტელი" — ვეფი, რტი — „დინამო" (თბილისი), „სპარტაკი" — „შახტიორი".

**8-9 იანვარი.** ასკ — „კალევი".

**12-13 იანვარი.** რტი — „კალევი", „სპარტაკი" — „ჟალგირისი", ასკ — „შახტიორი".

**13-14 იანვარი.** „სტატიბა" — „სტროიტელი".

**16-17 იანვარი.** ცსკა — „დინამო" (მოსკოვი).

**20-21 იანვარი.** ვეფ — „დინამო" (თბილისი).

**21-22 იანვარი.** „სტატიბა" — ცსკა, „დინამო" (მოსკოვი) — რტი.

**შენიშვნა:** მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.

# თეიმურაზ ფურცელაძე



გარდაიცვალა საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი, სამამულო ომის, შრომისა და სპორტის ვეტერანი, სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი თეიმურაზ ფურცელაძე.

თ. ფურცელაძე დაიბადა 1913 წელს.

1929 წლიდან, ჯერ კიდევ IX კლასის მოსწავლე, კრივმა გაიტაცა. თბილისის, საქართველოს და ამიერკავკასიის არაერთგზის ჩემპიონი, თურქეთის, დანიის, შვეციისა და ინგლისის მოკრივეებთან რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შეხვედრათა მონაწილე, იმ პერიოდის მოკრივეთა შორის გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკით და გააზრებული ტაქტიკით. თ. ფურცელაძემ მალე მოიპოვა კრივის მოყვარულთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

1933 წელს თ. ფურცელაძე კრივის მწვრთნელად იწყებს მუშაობას სპორტსაზოგადოება „სპარტაკში". ამავე პერიოდში იგი იყო საქართველოს ნაკრები გუნდის წამყვანი მწვრთნელი, კითხულობდა თეორიულ კურსს და მიჰყავდა პრაქტიკული მეცადინეობა ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტზე, ხელმძღვანელობდა კრივის განვითარებას ბათუმში, სადაც მრავალი ცნობილი მოკრივე აღზარდა. 1931 წელს იგი აირჩიეს კრივის რესპუბლიკური სექციის (ფედერაციის) წევრად. მას შემდეგ, 41 წლის მანძილზე უცვლელად იყო ამ ფედერაციის წევრი, 18 წლის განმავლობაში კი მისი თავმჯდომარე გახლდათ.

თ. ფურცელაძის აღზრდილთა შორის არიან სსრ კავშირის პირველობათა პრიზიორები, შ. გორგასლიძე და ა. ნავასარდოვი კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონებიც გახდნენ.

თ. ფურცელაძე აქტიურად თანამშრომლობდა იმ პერიოდის სპორტულ პრესაშიც. ბევრს წერდა სპორტულ ცხოვრებაზე გაზეთ „ფიზკულტურელში", ჟურნალებში „საბჭოთა ფიზკულტურაში" და „ფიზკულტურნიკ ზაკავკაზიაში".

თ. ფურცელაძე აქტიურად იღვწოდა როგორც კრივის მსაჯთა კოლეგიის წევრი, იყო ჯერ რესპუბლიკური კატეგორიის, ხოლო 1939 წლიდან საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სამამულო ომის დაწყებისთანავე თ. ფურცელაძე, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა: ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის სპეციალური კურსის დამთავრების შემდეგ, პოლიტმუშაკი, მეზღვაურთა სადესანტო არმიის ერთ-ერთი ნაწილის კომისარი, მამაცურად იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე. 1943 წელს მძიმედ დაჭრილი და ჯანმოხდილი დაბრუნდა შინ. მკერდს ფრონტზე მიღებული ორდენები და მედლები უმშვენებდა.

1960 წელს საქართველოში შეიქმნა აკადემიური ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია, რომლის პირველ თავმჯდომარედ თ. ფურცელაძე აირჩიეს. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით გარდა თბილისისა, სპორტის ეს სახეობა დაინერგა ფოთში, ქუთაისში, მცხეთაში, რუსთავში, წამოიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ მწვრთნელთა კადრები და სახელოვანი სპორტსმენები. ამ პერიოდში რესპუბლიკის აკადემიურმა ნიჩბოსნებმა თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწიეს.

უბრალოება, თავმდაბლობა, გულისხმიერება, შინაგანი კულტურა და დიდბუნებოვნება გამოარჩევდა მას და ასეთი დარჩება თ. ფურცელაძე მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

**საქართველოს სსრ სპორტსახკომი, საქართველოს კრივის ფედერაცია, სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.**

# ყველა ადგილი

**თბილისის** „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდი საკავშირო სარბიელზე პირველად 1937 წელს გამოვიდა. სტარტი ისე იღბლიანი არ იყო, თუმცა დინამოელთა ახალგაზრდულ და გამოუცდელ კოლექტივს მაშინ ბევრი არც მოეთხოვებოდა. სამაგიეროდ, მომდევნო წელს იგი უკვე პრიზიორთა შორის მოხვედრისთვის იბრძოდა, და მას შემდეგ მტკიცედ დაიკვიდრა ადგილი უძლიერესთა შორის. თუმცა თბილისის „დინამომ" ყველაზე დიდ წარმატებას 50-იანი წლების პირველ ნახევარში მიაღწია, როცა მან რამდენჯერმე მოიგო უძლიერესი კლუბის სახელი და ოქროს მედლებ დაიმსახურა.

გთავაზობთ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდის მიერ დაკავებულ ადგილებს საკავშირო ჩემპიონატებში.

| წელი | ადგილი | წელი | ადგილი | წელი | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1938 | IV | 1954 | I | 1974 | VI |
| 1939 | VI | 1955 | IV | 1975 | IV |
| 1940 | V | 1957 | V | 1976 | VII |
| 1944 | VI | 1958 | V | 1977 | III |
| 1946 | V | 1960 | II | 1978 | IV |
| 1947 | II | 1961 | II | 1979 | VII |
| 1948 | III | 1962 | IV | 1980 | VI |
| 1949 | V | 1964 | V | 1981 | V |
| 1950 | I | 1965 | II | 1982 | X |
| 1951 | IV | 1966 | X | 1983 | VIII |
| 1952 | III | 1968 | I | 1984 | IV |
| 1953 | I | 1969 | II | 1985 | VII |
| | | 1970 | VII | 1986 | VII |
| | | 1971 | VII | 1987 | IV |
| | | 1972 | IV | 1988 | IV |
| | | 1973 | V | | |

**შენიშვნა:** 1956, 1959, 1963 და 1967 წლებში საკავშირო ჩემპიონატების ნაცვლად კალათბურთელები საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ასპარეზობდნენ და კლუბების ნაცვლად რესპუბლიკის ნაკრები გუნდები გამოდიოდნენ. ამიტომ ამ წლების ტურნირების შედეგები ცხრილში არ არის შეტანილი.

როგორც ხედავთ, თბილისის „დინამოს" კალათბურთელები პრიზიორთა შორის თორმეტჯერ იყვნენ. საკავშირო ჩემპიონატებში X ადგილზე დაბლა არ ჩამოსულან, ყველაზე ბევრჯერ კი სატურნირო ცხრილში (ათჯერ) მეოთხე ადგილი ჰქონდათ.

ვნახოთ რამდენჯერ აქვს მოპოვებული ესა თუ ის ადგილი ჩვენს საუკეთესო გუნდს: I ადგილი — 4-ჯერ, II ადგილი — 5-ჯერ, III — ადგილი — 3-ჯერ, IV ადგილი — 10-ჯერ, V ადგილი — 8-ჯერ, VI ადგილი — 4-ჯერ, VII ადგილი — 6-ჯერ, VIII ადგილი —1, X ადგილი — 2-ჯერ.

# ვინ, რამდენჯერ?

**რომელი** გუნდი რამდენჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი. ჯერ ვნახოთ ცხრილი, მერე კი მას მცირე კომენტარიც დავურთოთ:

| | I | II | III | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 24 | 11 | 4 | 39 |
| 2. „ჟალგირისი" (კაუნასი) | 5 | 6 | 6 | 17 |
| 3. „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 1 | 7 | 5 | 13 |
| 4. „სტროიტელი" (კიევი) | — | 7 | 6 | 13 |
| 5. „დინამო" (თბილისი) | 4 | 5 | 3 | 12 |
| 6. „დინამო" (მოსკოვი) | 2 | 1 | 7 | 10 |
| 7. ასკ (რიგა) | 3 | 2 | 1 | 6 |
| 8. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 1 | 1 | 3 | 5 |
| 9. ოფიცერთა სახლი (თბილისი) | 2 | 1 | — | 3 |
| 10. უსკ (ტარტუ) | 1 | 1 | 1 | 3 |
| 11. „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 2 | — | — | 2 |
| 12. ფისკ (ლენინგრადი) | — | 1 | 1 | 2 |
| 13. „ლოკომოტივი" (თბილისი) | — | 1 | 1 | 2 |
| 14. ასკ (კიევი) | — | 1 | 1 | 2 |
| 15. ვეფ (რიგა) | — | — | 2 | 2 |
| 16. „კრ. ზარია" (ლენინგრადი) | — | 1 | — | 1 |
| 17. „სტროიტელი" (მოსკოვი) | — | 1 | — | 1 |
| 18. „კალევი" (ტალინი) | — | — | 1 | 1 |
| 19. „სტატიბა" (ვილნიუსი) | — | — | 1 | 1 |

ჩვენი კალათბურთის აღიარებული ფლაგმანი ცსკა ამ ცხრილში პირველ ადგილზეა და მის პოზიციას წლების მანძილზე ალბათ ვერავინ შეარყევს. ასევე მტკიცედ აქვს განაღდებული II ადგილი კაუნასის „ჟალგირისს", რაც შეეხება თბილისის „დინამოს", ლენინგრადის „სპარტაკსა" და კიევის სტროიტელს", სამივე თანაბარი პრეტენზიით იბრძვის სატურნირო ცხრილში მესამე ადგილისთვის, თუმცა თბილისელებს ამ ბრძოლაში გარკვეული უპირატესობა აქვთ, ვინაიდან ისინი ჩემპიონები 4-ჯერ იყვნენ.

# რესპუბლიკებსა და ქალაქებს შორის

**ომამდელი** პერიოდის საკავშირო ჩემპიონატებში საკლუბო კოლექტივების გარდა რესპუბლიკებისა და ქალაქების ნაკრები გუნდებიც ასპარეზობდნენ. ცხრილში, რომელსაც ქვევით გთავაზობთ, ერთად არის თავმოყრილი კლუბების, რესპუბლიკებისა და ქალაქების შედეგები და ადგილებიც ამის საფუძველზეა გამოყვანილი. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელი ამ ცხრილში „დინამოს", ოფიცერთა სახლის, „ლოკომოტივის", საქართველოსა და თბილისის ნაკრები გუნდების შედეგების საფუძველზეა გამოყვანილი. ამავე პრინციპითაა განსაზღვრული სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების მაჩვენებლები.

| | I | II | III | სულ |
|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 32 | 17 | 15 | 64 |
| ლენინგრადი | 5 | 10 | 6 | 21 |
| უკრაინა | 1 | 9 | 10 | 20 |
| საქართველო | 6 | 7 | 6 | 19 |
| ლიტვა | 5 | 6 | 8 | 19 |
| ლატვია | 4 | 2 | 5 | 11 |
| ესტონეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| რსფსრ | — | 1 | — | 1 |

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 13 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **20.00 (2).**

**14 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 13 ოქტომბერი.** დედოფლის გვირგვინისათვის — **21.45.**

**14 ოქტომბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო" (თბილისი) — ასკ (ალმა-ათა) — **20.00.**

## „სპორტპროგნოზი"

**41-ე ტირაჟის შედეგები (9-10 ოქტომბერი)**

1—1, 2—2, 3—1, 4—2, 5—2, 6—1, 7—1, 8—X, 9—1, 10—1, 11—2, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე.**

თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ადმინისტრაცია, პროფკავშირის კომიტეტი და სპორტკლუბ „სინათლის" გამგეობა 17 ოქტომბერს ატარებენ შეხვედრას XXIV ოლიმპიური თამაშების მონაწილეებთან და მათ მწვრთნელებთან.

მისამართი: საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კლუბი, პავლოვის ქ. № 12. დასაწყისი 16 საათზე.

ინდექსი 66465. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშარაულის ქ. 29. უე 10888